განკარგულება:**g-37. 3723298001**
თარიღი:**25/10/2023**

განკარგულება N67

25 ოქტომბერი 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონებების (ს.კ. 26.26.47.306, ს.კ. 26.26.47.173, ს.კ. 26.26.01.682, ს.კ. 26.26.47.172, ს.კ. 26.26.47.080, ს.კ. 26.26.01.681, ს.კ. 26.26.46.065, ს.კ. 26.26.01.680, ს.კ. 26.26.55.161, ს.კ. 26.26.47.113, ს.კ. 26.26.47.114, ს.კ. 26.26.47.060) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონებების (ს.კ. 26.26.47.306, ს.კ. 26.26.47.173, ს.კ. 26.26.01.682, ს.კ. 26.26.47.172, ს.კ. 26.26.47.080, ს.კ. 26.26.01.681, ს.კ. 26.26.46.065, ს.კ. 26.26.01.680, ს.კ. 26.26.55.161, ს.კ. 26.26.47.113, ს.კ. 26.26.47.114, ს.კ. 26.26.47.060), უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, საპარკინგე ადგილების მოწყობის მიზნით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანია“-სთვის სარგებლობაში გადასაცემად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი